# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №36

ქ. მცხეთა

19 მარტი 2012 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ფ/პ ნაზიკო ლუტიძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საბუღალტრო წიგნების აკინძვა.

## 2. მომსახურების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების ვადაა 2012 წლის 31 დეკემბრამდე.
2.2 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა (ერთი ათასი) 1000 ლარი.

## 3. მხარეთა უფლება – მოვალეობები

3.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
3.1.1 უზრუნველყოს მომსახურების შესრულება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
3.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
3.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

## 4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

4.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
4.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს გააფორმოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
4.3 მომსახურეობის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" არ აუნაზღაუროს მომსახურეობის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი მომსახურეობის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

## 6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

6.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 7. ფორს – მაჟორი

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
8.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
9.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 10. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

10.1 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშების განყოფილების გამგე მ. მამულაშვილი.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები

„მიმწოდებელი"

ფ/პ ნ. ლუტიძე
ა/ს 3144842640
სს „ლიბერთი ბანკი"- ს მცხეთის ფილიალი

ა/ს 33030024

მის: მცხეთა, სოფ. ნატახტარი

№31001039768 №ა 1352413

ფ/პ

ნ. ლუტიძე

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტი
ს/კოდი: 236094196
ბანკი: „ლიბერთი"-ს მცხეთის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE93LB0120130269077000

მის: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის №73

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გ. ატაშვილი